თხრობითი ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

დახმარება

მე და ჩემი მეზობელი მერაბი ერთ კლასში ვსწავლობდით. მერაბი ზარმაცობდა, ხშირად იღებდა „ორიანს“. მე ამაზე ერთხელაც არ დავფიქრებულვარ. არც დავფიქრდებოდი, რომ ერთი შემთხვევა არ მომხდარიყო.

ერთხელ დასვენებაზე მომიახლოვდა მერაბი და რაღაც მოწყენით მითხრა:

- გივი, დღეს ისტორიის გაკვეთილი არ ვიცი კარგად. ვისწავლე, მაგრამ აქა-იქ მაინც მავიწყდება.
- ხა-ხა-ხა! - გადაიხარხარა ომარმა, რომელიც იქვე იდგა, - ისე წუწუნებ, თითქოს პირველი შემთხვევა იყოს!

მერაბმა ომარს შეუბღვირა და ისევ მე მომიბრუნდა:

- დღეს ალბათ გამომკითხვას მასწავლებელი, დიდი ხანია არ უკითხავს! - კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ ვერ გაბედა, გაჩუმდა.

ცოტა ხანს ჩავფიქრდი და მივუგე:

- მერე, რა გადარდებს? დაგეხმარები, გიკარნახებ.
- მიკარნახებ?! - თვალები გაუბრწყინდა მერაბს. მივუხვდი, სწორედ ეს უნდოდა ეთხოვა ჩემთვის.

ზარი დაირეკა, ჟივილ-ხივილით ჩამოვსხედით მერხებზე. მასწავლებელი რომ შემოვიდა, მხოლოდ მაშინ შეწყდა ჟრიამული. დაპირება ისევ მახსოვდა. როცა მერაბს ვუთხარი, „გიკარნახებ-მეთქი“, მე თვითონვე მომეწონა ჩემი „გულკეთილობა“, ახლა კი ვნანობდი. „გაკვეთილზე კარნახი ხომ დისციპლინის დარღვევაა?“ - გამიელვა უცებ და დავღონდი. ერთი იმედიღა მამშვიდებდა: შეიძლება მერაბი არ გამოეძახა მასწავლებელს და გადავრჩენილიყავი. მაგრამ სულ სხვანაირად დატრიალდა საქმე. მასწავლებელმა მერაბი გაიძახა. გაკვეთილად „რომის იმპერიის აღდგენის ცდა“ გვქონდა. შესავალს დიდი გაჭირვებით მოჰყვა. „სახალხო აჯანყებაზე“ რომ გადავიდა, მთლად დაიბნა. სხვა დროსაც მინახავს მერაბი დაბნეული, მაგრამ ხმაც არ ამომიღია. ახლა კი პირობას როგორ გადავუხვევდი? რაც გინდა დამმართოდა, უნდა დავხმარებოდი. ჯერ

LIVEWORKSHEETS

მასწავლებელს შევხედე, ხომ არ მიყურებს-მეთქი, შემდეგ მერაბისკენ გადავიხარე და დავიჩურჩულე:

- ეს აჯანყება ცნობილია სახელწოდებით „ნიკე“, რაც ბერძნულად გამარჯვებას ნიშნავს... - დავამთავრე თუ არა წინადადება, ახლა მერაბმა დაიწყო:

- აჯანყებაში „ნიკამ“ ბერძნულად გაიმარჯვა და... - ნერწყვი ჩაყლაპა, შეჩერდა.

უაზროდ წარმოთქმულმა სიტყვებმა მასწავლებელი განაცვიფრა. მოსწავლეებსაც მეტი რა უნდოდათ! თითის დანახვაზედაც კი იცინიან. ისე გადაიხარხარეს, რომ კლასის ფანჯრებმა ზანზარი დაიწყო. მასწავლებელმა წყენით გადახედა ბავშვებს, ისინი გააჩუმა და ახლა მე მომაჩერდა. ვინ იცის, რამდენ რამეს ამბობდა მისი უსიტყვო მზერა. ვეღარ გავუძელი, ფეხზე ავდექი. დიდხანს ვიდექი დარცხვენილი. ბოლოს მასწავლებელმა მითხრა:

- დაჯექი, ასეთი რამ აღარ გაბედო!

- დავეხმარე, მასწავლებელო! - ვცადე თავის გამართლება.

- შენ უკეთ შეგიძლია დახმარება! - კიდევ უფრო მკაცრად თქვა მასწავლებელმა.

მერაბს დიდხანს არ მოუბრუნდა გული ჩემზე. ეგონა, განგებ ვუკარნახე სხვა სიტყვები. მე მაინც ველაპარაკებოდი, ვარწმუნებდი, შენ თვითონ ვერ გაიგონე კარგად ჩემი ნათქვამი-მეთქი. რამდენიმე ხანი გავიდა მას შემდეგ. ყველამ დაივიწყა ეს შემთხვევა, მე კი მასწავლებლის სიტყვები: „შენ უკეთ შეგიძლია დახმარება“, ლურსმანივით ჩამესო ტვინში, არ მავიწყდებოდა, მინდოდა დანაშაული გამომესყიდა. ვიფიქრე, ვიფიქრე და ბოლოს რაღაც გადავწყვიტე.

ერთ საღამოს ფანჯარა გამოვაღე, მოპირდაპირე ბინაში მერაბს გავძახე, ჩემთან მოდი-მეთქი. სულმოუთქმელად ველოდი, ვშიშობდი, არ დაზარებოდა მოსვლა. მალე ზარის ხმა გაისმა. კარი გავაღე თუ არა, ოთახში მერაბი შემოვიდა.

- მერაბ, - მაშინვე მივახარე ჩემი გადაწყვეტილება, - მოდი, ისტორიაში ერთად ვიმეცადინოთ. ასე აჯობებს.

მან ოთახის კედლებს შეავლო თვალი. საწერი მაგიდა მოათვალიერა. შემდეგ მე შემომხედა და უხალისოდ მითხრა:

- ვიმეცადინოთ.

შევატყვე, ეზარებოდა მეცადინეობა, მაგრამ უარი მაინც ვერა თქვა. გადავშალეთ ისტორიის წიგნი. ჯერ მისი წაკითხული მოვისმინე, შემდეგ მე წავიკითხე და მას მოვასმენინე. მოყოლითაც რიგ-რიგობით მოვყევით.

LIVEWORKSHEETS

პირველი მეცადინეობის შემდეგ მე გამომკითხა მასწავლებელმა და „ათი“ მივიღე. ეს არავის არ გაჰკვირვებია. მერაბი რომ გამოიძახა, მან ისე სხაპასხუპით მოჰყვა გაკვეთილს, რომ მთელი კლასი განცვიფრდა. მასწავლებლის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

- როგორ მოხდა, ასე კარგად რომ გისწავლია? - ჰკითხა მან მერაბს.

მერაბი შეიშმუშნა, სიმართლე ვერ დამალა და პირდაპირ უთხრა:

- გივი დამეხმარა, ერთად ვიმეცადინეთ.
- გივი დაგეხმარა? - გაიცინა მასწავლებელმა და მომიბრუნდა:
- ყოჩაღ, გივი, დახმარებაც ასე უნდა!

კიდევ რაღაც თქვა მასწავლებელმა, მაგრამ ვეღარ გავიგონე, რადგან სიხარულმა უზომოდ ამიჩქროლა გული.

ეს იყო და ეს. სხვა საგანშიც აღარ მიუღია მერაბს „ორიანი“. ჩვენ ყოველთვის ერთად ვმეცადინეობდით. ისიც მიხვდა და მეც გავიგე, თუ როგორ უნდა დავეხმაროთ ერთმანეთს.

წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. რისი თხოვნა ვერ გაუბედა მერაბმა გივის?

ა) თავხედი ომარისთვის ჭკუა ესწავლებინა.
ბ) ისტორიის გაკვეთილზე მისთვის ეკარნახა.
გ) ისტორიის სწავლაში დახმარებოდა მას.

2. „ისე წუწუნებ, თითქოს პირველი შემთხვევა იყოს!“ - უთხრა ომარმა ზარმაც მერაბს. რა ჩანს ამ სიტყვებიდან?

ა) ომარი დასცინის ზარმაც ამხანაგს.
ბ) ომარი წუხს ამხანაგის სიზარმაცის გამო.
გ) ომარს უხარია ამხანაგის სიზარმაცე.

3. რატომ ინანა გივიმ, რომ მერაბს კარნახს დაჰპირდა?

ა) დაინახა, როგორ დაიბნა დაფასთან გამოძახებული მერაბი.
ბ) იცოდა, კარნახი დისციპლინის დარღვევა იყო.
გ) შესაძლოა, მასწავლებელს მერაბი არ გაეძახა.

LIVEWORKSHEETS

4. „ახლა კი პირობას როგორ გადავუხვევდი? რაც უნდა დამმართოდა, უნდა დავხმარებოდი“. ამ სიტყვებით ჩანს, რომ გივი არის:

ა) გაჭირვების ტალკვესი. ბ) პირში მთქმელი. გ) სიტყვის კაცი.

5. როდის მიხვდა გივი, რომ ზარმაცი ამხანაგისთვის კარნახი „გულკეთილობა“ არ არის?

ა) მერაბი რომ გაანაწყენა უხეირო კარნახის გამო.

ბ) როგორც კი მასწავლებლის შენიშვნა დაიმსახურა.

გ) როდესაც მიცემული პირობის შესრულების დრო დადგა.

6. რაზე ახარხარდნენ ბავშვები?

ა) დარცხვენილი მოკარნახის დანახვაზე.

ბ) მასწავლებლის გაოცებული სახის დანახვაზე.

გ) მერაბის უაზროდ წარმოთქმულ სიტყვებზე.

7. რატომ იყო მერაბი ნაწყენი გივიზე?

ა) გივიმ დანაპირები რომ არ შეუსრულა.

ბ) გივიმ მასწავლებელთან თავი რომ იმართლა.

გ) ეგონა, გივიმ განგებ უკარნახა არასწორად.

8. „მასწავლებლის სიტყვები... ლურსმანივით ჩამესო ტვინში“. რა მხატვრული სახეა გამოყენებული ამ წინადადებაში?

ა) გაპიროვნება. ბ) ეპითეტი. გ) შედარება.

9. რომელი გამოთქმა მიესადაგება გივის საქციელს?

ა) დათვური სამსახური გაუწია.

ბ) თავზე ხელი აიღო.

გ) კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

LIVEWORKSHEETS

10. რომელ წინადადებაშია ფრაზეოლოგიური გამოთქმა?

ა) „ისე სხაპასხუპით მოჰყვა გაკვეთილს, რომ მთელი კლასი განცვიფრდა“.

ბ) „მერაბს დიდხანს არ მოუბრუნდა გული ჩემზე“.

გ) „უაზროდ წარმოთქმულმა სიტყვებმა მასწავლებელი განაცვიფრა“.

11. რა დაეხმარა გივის სწორი გადაწყვეტილების მიღებაში?

ა) მასწავლებლის მკაცრი საყვედური, უკეთესი დახმარება შეგიძლიაო.

ბ) მერაბის საქციელი, წყენას რომ გამოხატავდა გივის მიმართ.

გ) მერაბის შეცდომაზე ბავშვების მოურიდებელი ხარხარი.

12. რის გამო შიშობდა გივი, როცა მერაბი თავისთან იხმო?

ა) ვაითუ, არ ესურვა ერთად მეცადინეობა.

ბ) ვაითუ, დაზარებოდა მისვლა.

გ) ვაითუ, უარი ეთქვა სტუმრობაზე.

13. რატომ შესთავაზა გივიმ მერაბს ერთად მეცადინეობა?

ა) სურდა ამხანაგს სიზარმაცის დაეძლევაში დახმარებოდა.

ბ) სურდა მასწავლებელთან თავი მოეწონებინა.

გ) სურდა ამხანაგები მერაბის ცვლილებით გაეოცებინა.

14. რამ განაცვიფრა მთელი კლასი?

ა) გივიმ ახლაც ათიანი მიიღო.

ბ) მასწავლებელმა გივი შეაქო.

გ) მერაბი სხაპასხუპით მოჰყვა გაკვეთილს.

15. მოთხრობის მიხედვით გივი არის:

ა) გულმოდგინე და თავმომწონე.

ბ) თავმოყვარე და ამპარტავანი.

გ) კეთილსინდისიერი და დაუზარელი.

LIVEWORKSHEETS